



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

**დამტკიცებულია**

სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2012 წლის 6 ივლისის  
N 733 დადგენილებით

**მოდიფიცირებულია**

სტუ-ს აკადემიური საბჭოს  
2020 წლის 12 ოქტომბრის  
№ 01-05-04/160 დადგენილებით

## მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

### პროგრამის სახელწოდება

ტრანსპორტი

Transport

### ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

Faculty of Transportation and Mechanical Engineering

### პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

პროფესორი, ავთანდილ შარვაშიძე

### მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი

Master of Transport Engineering

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

### სწავლების ენა

ქართული

## პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://gtu.ge/Study-Dep/> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველს უნდა გააჩნდეს ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი/სერტიფიკატი ან უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი B2 დონის ათვისების დამადასტურებელი დოკუმენტი. იმ შემთხვევაში თუ პირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სერტიფიკატი, უნდა ჩააბაროს გამოცდა საგამოცდო ცენტრში უცხოურ (ინგლისურ) ენაში. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## პროგრამის აღწერა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ შექმნილია დარგის სპეციფიკისა და სიახლეების, უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „ტრანსპორტი“ შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით (ECTS), 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი). ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი

პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვეობით დონის (მაგისტრატურის) აღმწერით.

პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, ორი კონცენტრაციის, პრაქტიკის და კვლევით კომპონენტის შემდეგი თანაფარდობით: სავალდებულო სასწავლო კურსები 34 კრედიტი, არჩევით სასწავლო კურსები 10 კრედიტი, პრაქტიკა 8 კრედიტის მოცულობით. ორი კონცენტრაცია 68 კრედიტი (თითოეული კონცენტრაცია 38 კრედიტი და კვლევითი კომპონენტი 30 კრედიტი).

მაგისტრატურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი“ და „მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა“ [https://gtu.ge/Learning/debuleba\\_magistraturis\\_sesaxeb.php](https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php)

სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების, შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების, სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ და სხვა საჭირო დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებ გვერდზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>

## პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს დარგის ღრმა ცოდნით აღჭურვილი და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრი, რომელიც უზრუნველყოფს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების დაპროექტებას და კონსტრუქციულ მოდერნიზირებას; ძრავიანი ტრანსპორტის რესურსის ეფექტიანად შენარჩუნებას რემონტის, დიაგნოსტიკის და ტექნიკური ექსპლუატაციის

თანამედროვე მეთოდების გამოყენებით; საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტზე ექსპლუატაციის პროცესში ინოვაციური პროგრესული ტექნოლოგიების კვლევას, დამუშავებას და დანერგვას; მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და ექსპერტიზას; ძრავიანი ტრანსპორტის ეფექტიანად გამოყენებას და საგზაო ინფრასტრუქტურასთან კომპლექსში მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასახვას; უწყვეტ პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას, თვითრეალიზებას და კარიერული წარმატებისათვის სწავლის გაგრძელებას.

### სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

- არგუმენტირებულად აყალიბებს დასკვნებს და კვლევის შედეგებს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენაზე;
- უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ახალი, ორიგინალური გზების ძიებით და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტით ტრანსპორტის ინჟინერიაში (საავტომობილო და სარკინიგზო) კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება;
- ეფექტიანად იყენებს ძრავიანი ტრანსპორტის (საავტომობილო და სარკინიგზო) ექსპლუატაციისა და სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების პროცესში, ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიურ რესურსებს პრობლემატური საკითხების სისტემური მიდგომით გადაწყვეტისათვის;
- გეგმავს გადაუდებელ სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს და მათ შემდგომ განხორციელებას სატრანსპორტო მანქანებისა და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტის დახმარებით და სატრანსპორტო ლოგისტიკური სისტემების გამოყენებით;
- განსაზღვრავს ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოებას საგზაო ინფრასტრუქტურის არსებული პრობლემებისა და მათი განვითარების გათვალისწინებით, მათ ტექნიკურ მდგომარეობას და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობას;
- სისტემურად ანალიზებს (საავტომობილო, სარკინიგზო) სატრანსპორტო საშუალებათა პროექტირების, დიაგნოსტიკის, სერვისისა და საიმედოობის კონცეფციებს, კონსტრუქციულ სრულყოფას ან/და მოდერნიზირებას;
- გადაწყვეტს ძრავიანი ტრანსპორტის ექსპლუატაციის პროცესში კომპლექსურ პრობლემებს მათემატიკური მოდელირების ან სიმტიკიცეზე გაანგარიშების მეთოდებით;
- ჩატარებული სათანადო ანალიზისა და კვლევის საფუძველზე, ძრავიან ტრანსპორტზე უსაფრთხოებისა და ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემების დანერგვით აყალიბებს, მოძრაობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის გადაუდებელ პრევენციულ კომპლექსურ ღონისძიებებს;
- აფასებს ექსპლუატაციის კონკრეტულ პროცესში არსებულ პრობლემებს საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებათა განვითარების პერსპექტივებს მულტიდისციპლინარულ გარემოში მათი შემდგომი გამოყენების შესაძლებლობებს.

### სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

ლექცია  სემინარი (ჯგუფში მუშაობა)  პრაქტიკული  ლაბორატორიული  პრაქტიკა  
 საკურსო სამუშაო/პროექტი  სამაგისტრო ნაშრომი  კონსულტაცია  დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

დისკუსია/დებატები; თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL); ევრისტიკული; შემთხვევების შესწავლა (Case study); გონებრივი იერიში (Brain storming); დემონსტრირება; ინდუქციური; დედუქციური; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; პრაქტიკული; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო პროცესის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებ გვერდზე: „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია“ <https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php>.

## დასაქმების სფერო

პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლებათ წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა: სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ცენტრალურ აპარატში და რკინიგზის სახაზო ორგანიზაციებში; მეტროპოლიტენში; ვაგონმშენებელ კომპანიაში; ელექტროვაგონმშენებელ ქარხანაში; ელმავალმშენებელ ქარხანაში. ჰოლდინგური კომპანია თეგეტა მოტორში, სსიპ რ. დვალის მანქანათა მექანიკის ანსტიტუტში, ავტოსერვისის, კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებში, სადიაგნოსტიკო ცენტრებში, სასწავლო დაწესებულებებში.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი დეტალური ინფორმაცია მოცემულია თანდართულ დოკუმენტაციაში

## თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 32

### პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	არ აქვს	5			
2	სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა	არ აქვს	5			

3	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები	არ აქვს	5			
4	სატრანსპორტო მანქანები და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტი	არ აქვს	4			
5	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე	არ აქვს	5			
6	სატრანსპორტო საწარმოო ლოგისტიკური სისტემები	არ აქვს	5			
7	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს	5	5		
8	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე		5		
9	სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ლიანდაგთან ურთიერთქმედება და დინამიკური პროცესები	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები		5		
10	სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ლიანდაგთან ურთიერთქმედება და დინამიკური პროცესები სატრანსპორტო საწარმოო ლოგისტიკური სისტემები			8	
<b>კონცენტრაცია 1 - „სარკინიგზო ტრანსპორტი“</b>						
1.1	სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე		5		
1.2	ელექტრული წევა და ელექტრომოძრავი შემადგენლობის ავტომატიზაცია	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები		5		
1.3	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე		6		
1.4	სარკინიგზო ავტომატიკის დისპეტჩერული სისტემები და ტექნიკური დიაგნოსტიკა	სარკინიგზო დისკრეტული			6	

		მოწყობილობები				
1.5	ვაგონების კონსტრუირება და გაანგარიშება	სარკინიგზო მოძრავ შემადგენლობათა ლიანდაგთან ურთიერთქმედება და დინამიკური პროცესები			6	
1.6	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მათემატიკური მოდელირება	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები			5	
1.7	მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომოდრავი შემადგენლობა ასინქრონული ამძრავით	ელექტრული წევა და ელექტრომოდრავი შემადგენლობის ავტომატიზაცია			5	
<b>კვლევითი კომპონენტი</b>						
1.8	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა; სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა				30
<b>კონცენტრაცია 2 - „საავტომობილო ტრანსპორტი“</b>						
2.1	ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოების ამალღების გზები	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე			5	
2.2	საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები	სატრანსპორტო მანქანები და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტი			5	
2.3	ავტომობილების საიმედოობა	სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა			6	
2.4	ავტომობილების თეორია და კონსტრუირება	საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები			6	
2.5	ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი	ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოების ამალღების გზები			6	
2.6	ავტომობილების სერვისული ოპერაციების სისტემა	ავტომობილების საიმედოობა			5	
2.7	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა			5	
2.8	<b>კვლევითი კომპონენტი</b>					

გვ. 6 (სულ 8 გვ.)

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა; სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა				<b>30</b>
<b>სულ სემესტრში:</b>		<b>29</b>	<b>31</b>	<b>30</b>	<b>30</b>
<b>სულ წელიწადში:</b>		<b>60</b>		<b>60</b>	
<b>სულ:</b>		<b>120</b>			

**პროგრამის სასწავლო გეგმა**

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკუროსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1.	LEH16312G3-LP	საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური)	5/125			45					2	2	76
2	EET99205G1-LS	სატრანსპორტო საინჟინრო კვლევა	5/125	15	30						1	1	78
3	EET90405G2-LS	სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედება და ჩქაროსნული მაგისტრალები	5/125	30	15						1	1	78
4	EET99005G2-LS	სატრანსპორტო მანქანები და საწარმოო ტექნოლოგიური ტრანსპორტი	4/100	15	15						1	1	68
5	EET90505G2-LP	ინფორმაციის გადაცემის სისტემები ტრანსპორტზე	5/125	15		30					1	1	78
6	EET99405G2-LS	სატრანსპორტო საწარმოო ლოგისტიკური სისტემები	5/125	15	30						1	1	78
7.	LEH12512G1-LP	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა(ინგლისური)	5/125	15	30						2	2	76
8	EET99505G1-LP	საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	5/125	15	30						1	1	78
9	EET90805G2-LP	სარკინიგზო მოძრავე შემადგენლობათა ლიანდაგთან ურთიერთქმედება და დინამიკური პროცესები	5/1125	30	15						1	1	88
10.	EET99105G2-R	სამაგისტრო სატრანსპორტო პრაქტიკა	8/200						75			2	123
<b>კონცენტრაცია 1 – „სარკინიგზო ტრანსპორტი“</b>													
1.1	EET90605G2-LS	სარკინიგზო დისკრეტული მოწყობილობები	5/125	30	15						1	1	78
1.2	EET90705G2-LSK	ელექტრული წევა და ელექტრომოდრავი შემადგენლობის	5/125	15	15				15		1	1	78

		ავტომატიზაცია											
1.3	EET90805G2-LSK	რკინიგზის სადგურების განვითარების პრობლემები	6/150	15	15				30	1	2	87	
1.4	EET91305G2-LS	სარკინიგზო ავტომატიკის დისპეტჩერული სისტემები და ტექნიკური დიაგნოსტიკა	6/150	30	30					1	1	88	
1.5	EET91105G2-LP	ვაგონების კონსტრუირება და გაანგარიშება	6/150	30	30					1	1	88	
1.6	EET91205G2-LP	რკინიგზის საექსპლუატაციო მუშაობის მათემატიკური მოდელირება	5/125	15	30					1	1	78	
1.7	EET90805G2-LS	მუდმივი და ცვლადი დენის ელექტრომოდრავი შემადგენლობა ასინქრონული ამძრავით	5/125	30	15					1	1	78	
<b>კონცენტრაცია 2 - „საავტომობილო ტრანსპორტი“</b>													
2.1	EET99905G1-LS	ავტომობილების ეკოლოგიური უსაფრთხოების ამალღების გზები	5/125	30	15					1	1	78	
2.2	EET99305G2-LS	საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივები	5/125	30	15					1	1	78	
2.3	EET99605G1-LP	ავტომობილების საიმედოობა	6/150	30	30					1	1	88	
2.4	EET90105G2-LS	ავტომობილების თეორია და კონსტრუირება	6/150	30	30					1	1	88	
2.5	EET99805G1-LP	ავტომობილების ეკოლოგიურობის ანალიზი	6/150	30	30					1	1	88	
2.6	EET99905G1-LP	ავტომობილების სერვისული ოპერაციების სისტემა	5/125	15	30					1	1	78	
2.7	EET92005G1-LP	საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების ავტოტექნიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზა	5/125	15	30					1	1	78	

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ავთანდილ შარვაშიძე

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

ნათია ბუთხუზი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

**შეთანხმებულია**

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

**მიღებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი N15, 3.07. 2012 წ.

**მოდიფიცირებულია**

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი N5. 15.07.2020 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი